როგორ იცავს სახელმწიფო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) PROLoG-ის პროექტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

CENTERS.GE
ევროპანახელი ინფორმაციის მოძიებისა ასოციაციის NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)

როგორ იცავს სახელმწიფო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს

რა არის ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახის წევრად ითვლება

დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

რა არის ქალთა მიმართ ძალადობა?

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

ძალადობის ფორმები:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

ქორწინების იძულება -

რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ან ორივე იმყოფება ამ კავშირში ნების საწინააღმდეგოდ.

ქორწინების იძულება გაუმართლებელია მაშინაც კი, თუ მშობლებს კეთილი განზრახვა აქვთ და ფიქრობენ, რომ მათი შვილის ქორწინება კარგი შედეგის მომტანი იქნება მათივე შვილისათვის.

ქორწინების იძულება დანაშაულია და ისჯება კანონით. არასრულწლოვნის იძულებითი ქორწინება ისჯება თავისუფლების აღკვეთით **ვადით ორიდან ოთხ წლამდე;**

ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება - ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორი ადამიანისა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც 18 წლის ასაკს მიუღწეველია, ანუ ბავშვია; ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება ადამიანის უფლებების, კერძოდ კი, ბავშვთა უფლებების დარღვევაა, რადგან ითვლება, რომ ბავშვს არ შეუძლია მისცეს გააზრებული თანხმობა;

არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა - მშობლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი პირს აქვს სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

ვინ შეიძლება იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი?

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ვინ არის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი?

სავარაუდო მსხვერპლი არის პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის ძალადობის მსხვერპლი და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით შესაბამის სამსახურს/ორგანოს/მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს მიმართავს.

როგორ ხდება მსხვერპლის სტატუსის მინიჭება?

მსხვერპლის სტატუსი მიენიჭება პირს:

• საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერით;

• სასამართლო ორგანოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერით;

• ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი) მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

ვინ შეიძლება იყოს ოჯახში მოძალადე?

მოძალადე შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით, იძულებით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით.

სახელმწიფო პოლიტიკა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

• „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება საქართველომ 2017 წლის 5 აპრილს მოახდინა. სტამბოლის კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, ცვლილებები შევიდა 25-მდე საკანონმდებლო აქტში.

• გაფარდოვდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო და იგი უკვე მოიცავს ოჯახის ფარგლებს გარეთ, ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასაც. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი დანაშაულები, როგორიცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ადევნება და იძულებითი სტერილიზაცია.

• ახალი რეგულაციებით, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელია ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის ყველა შემთხვევაში და პოლიციის მიერ გამოცემული **შემაკავებელი ორდერის** ძალაში შესვლისათვის **აღარაა საჭირო მისი სასამართლოში წარდგენა.**

• 2017 წლის ივნისში მთავრობის დადგენილებით შეიქმნა **გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია,** რომლის მიერ შემუშავდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

• ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისათვის 2017-2021 წლების ერთ-ერთ პრიორიტეტია. გამკაცრდა პოლიტიკა - გაიზარდა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი;

• მინიმუმამდეა დაყვანილი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების (განრიდება) გამოყენების და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევები.

უფასო სახელმწიფო სერვისები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის:

ოჯახში ძალადობის სხვერპლთათვის მათი დაცვისა და რეაბილიტაციის მიზნით სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია **5 სახელმწიფო თავშესაფარი თბილისში, გორში, ქუთაისში, სიღნაღსა და ბათუმში,** სადაც მსხვერპლთა განთავსება ხდება სამ თვემდე ვადით. სავარაუდო მსხვერპლთათვის მოქმედებს კრიზისული ცენტრები თბილისში, ქუთაისში, მარნეულში, ოზურგეთსა და გორში.

ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი სახელმწიფო თავშესაფარში და კრიზისულ ცენტრში უფასოდ მიიღებს შემდეგი სახის დახმარებას:

• სადღეღამისო საცხოვრისი (კრიზისული ცენტრის შემთხვევაში, დროებითი საცხოვრისი);

• სამედიცინო მომსახურება;

• ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია;

• სამართლებრივი დახმარება;

• თარჯიმნის მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში).

თავშესაფარში ოჯახში ძალადობის სრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მსხვერპლის/დაზარალებულის თანხმობით, ხოლო არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მომართვისას/შუამდგომლობით.

გაიგე მეტი მსხვერპლთა დასაცავად სახელმწიფო სერვისების შესახებ:

www.myrights.gov.ge - გაეცანი ინფორმაციას შენი უფლებების და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

www.atipfund.gov.ge - სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

დახმარებისთვის დარეკეთ: 112 ან საკონსულტაციო ცხელ ხაზზე 116 006

www.facebook.com/adamianisuflebatadacvisdepartamenti - შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც სხვა დანაშაულებთან ერთად, მონიტორინგს ახორციელებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე და უზრუნველყოფს დროულ რეაგირებასა და ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას. კონსულტაციის მიზნით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ დეპარტამენტს Facebook გვერდის მეშვეობით.

112-ის მობილური აპლიკაცია და განგაშის ღილაკი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა 112-ის მობილური აპლიკაცია, რომლის საშუალებითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლს საშუალება აქვს ჩუმი განგაშის ღილაკით დაუკავშირდეს პოლიციას და ითხოვოს დახმარება. მობილური აპლიკაცია ე.წ ჩუმი განგაშის გაგზავნისას ავტომატურად ადგენს მოქალაქის ადგილსამყოფელს.

აპლიკაციით შესაძლებელია შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- ჩუმი განგაში (SOS)
- ოპერატორთან მიმოწერა (ჩატი)
- ზარის განხორციელება

რას აკეთებს პოლიცია ინციდენტის ადგილზე მოსვლის ან პოლიციის განყოფილებაში თქვენი მისვლის დროს?

- განცალკევებულად გამოგკითხავთ თქვენ და დაგისვამთ შეკითხვებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ძალადობის ფაქტის დასადგენად და მისი გამეორების რისკების შესაფასებლად;
- გაგაცნობთ თქვენს უფლებებსა და სერვისებს, რომლითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ;
- განცალკევებულად გამოკითხავს თქვენი ოჯახის წევრებს, მათ შორის იმ პირს, რომელიც არის სავარაუდო მოძალადე;
- იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, თქვენთან ერთად, არის არასრულწლოვანიც, უზრუნველყოფს საქმეში სოციალური მუშაკის ჩართვას;
- საჭიროების შემთხვევაში, გამოსცემს შემაკავებელ ორდერს, რათა დაგიცვათ მოძალადისაგან;
- შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში, თქვენი სურვილის გათვალისწინებით, თქვენს არასრულწლოვან შვილთან ერთად გადაგიყვანთ თავშესაფარში;
- თუ კონფლიქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, იწყებს გამოძიებას.

იმისათვის, რომ პოლიციამ სწორად შეაფასოს სიტუაცია, აუცილებელია ენდოთ მას და მოუყვეთ სიმართლე.

SAFE YOU - მობილური აპლიკაცია ქალებისთვის:

SAFE YOU არის მობილურის საერთაშორისო აპლიკაცია, რომელიც ქალებს იცავს ძალადობისგან.

თუ საფრთხეში აღმოჩნდები, თავს დაუცველად იგრძნობ, გვერდით კი არავინ გეყოლება ვინც დაგეხმარება ძალადობის თავიდან აცილებაში, გამოიყენე SOS ღილაკი.

SOS ღილაკზე ერთი დაჭერით, განგაშის უფასო სიგნალი ერთდროულად იგზავნება შენს ახლობლებთან, ქალთა ორგანიზაციებთან და პოლიციასთან, რომლებიც დაუყოვნებლივ დაგეხმარებიან. თქვენ ასევე შეგიძლიათ ხმის აუდიო ჩაწერა, შენახვა და გადაგზავნა.

შენც ყოფილხარ ძალადობის მსხვერპლი ან თვითმხილველი? გიგრძვნია თავი დაუცველად? მოძალადისგან მუქარის გამო კი დღემდე არ იცი როგორ მოიქცე? SAFE YOU-ში, სპეციალურად შენს დასახმარებლად, ფორუმის ანონიმური სივრცე შევქმენით, სადაც ნებისმიერ კითხვაზე პასუხს თუ რჩევას პროფესიონალი ადამიანებისგან მიიღებ.

SAFE YOU -ში „ქსელის“ დახმარებით მოძებნე არასამთვრობო ორგანიზაციები, უფლებადამცველები, ფსიქოლოგები ან ქალთა გაძლიერებაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან შენთან „ქსელით“ შეძლებ ყოველდღიურად ესაუბრო ადამიანებს, რომლებიც პროფესიონალური რჩევებით დაგეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში.

SAFE YOU-ს ჩამოტვირთვა შეგიძლიათ როგორც ანდროიდის, ისე IOS სისტემის სმარტფონებზე.

პროექტს ახორციელებს საფარი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ.

მნიშვნელოვანი სტატისტიკა:

სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის სტატისტიკა ოჯახურ კონფლიქტებთან დაკავშირებით შემოსული

შეტყობინებების თაობაზე 2020 წელს:



ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერები:



ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



USAID
ამერიკელი ხალხისგან
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
(PROLOG)
CENTERS.GE
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)

დოკუმენტი მომზადებულია „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის" (NCCE) მიერ.

www.ncce.ge

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCCE)